

უფრო განვითარებული, მდგრადი, ძლიერი: მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები კრიზისის შემდეგ

24 აპრილი, 2020

პოლ თომპსონი

მცირე ბიზნესის ბუღალტერთა და აუდიტორთა ევროპული ფედერაციის (EFAA) დირექტორი

ტიპური მცირე და საშუალო ბუღალტრული პრაქტიკის (SMP) მქონე ფირმების არსებობა და ფუნქციონირება ერთ ღამეში ყველგან სრულიად მოულოდნელად შეიცვალა. მე ამას ვამბობ პროფესიული თვალსაზრისით, ყოველგვარი პიროვნული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და ფიზიკური მიდგომის გარეშე. იგივე შეიძლება ითქვას ამ ფირმების კლიენტი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებაც. შედეგი ისაა, რომ მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები კოვიდ 19-ის წყალობით ამჟამად დგანან „ახალი რეალობის“ (ეს ტერმინი 2020 წელს ალბათ ყველაზე ხშირად გამოყენებადი იქნება) წინაშე. ზოგიერთი, უფრო სწორად კი ბევრი რამ სამუდამოდ შეიცვალა. ხოდა როგორია ახალი რეალობა?

კლიენტთან უწყვეტი კომუნიკაცია

მცირე და საშუალო ბუღალტრული პრაქტიკის (SMP) მქონე ფირმები კოლეგა პროფესიონალებთან და კლიენტებთან კომუნიკაციას ახლა უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ვიდრე ოდესმე. თუმცა, კლიენტის ელექტრონული საფოსტო ყუთის („ინბოქსის“) წერილებით უბრალოდ ავსება და ინფორმაციის სოციალურ მედიაში გამოქვეყნება საკმარისი არაა. კლიენტები ეძებენ მცირე და საშუალო პრაქტიკის ისეთ ფირმებს, რომლებიც არა მარტო უზიარებენ მათ ინფორმაციას, არამედ რეგულარულად უკავშირდებიან მათ, ეკითხებიან თუ როგორ შეუძლიათ მათი დახმარება და სთავაზობენ სპეციალიზებულ გადაწყვეტებს მათი პრობლემების მიმართ.

საკონსულტაციო სერვისები

მცირე და საშუალო ბუღალტრული პრაქტიკის (SMP) მქონე ფირმებისგან მოელიან საკონსულტაციო სერვისის და კომუნიკაციის მაღალ დონეს. მცირე და საშუალო საწარმოებს მცირე პრაქტიკის მქონე ფირმებთან სწრაფი და ღრმა თანამშრომლობა სურთ. მცირე და საშუალო ბუღალტრული პრაქტიკის ფირმებმა უნდა გამოიყენონ კითხვარზე დამყარებული, გადაწყვეტებზე ორიენტირებული აზროვნება. მათ უნდა გამოეძნონ გზები, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ კლიენტების დახმარებას, იმის მიუხედავად არის თუ არა ეს გზები დაკავშირებული იმ სერვისებთან, რომლებშიც ისინი თავიდან იყვანენ ჩართულობას.

ლიკვიდურობა და უბრალოდ გადარჩენა ბევრი მცირე და საშუალო ფირმის (შესაძლოა უმეტესობის) უმთავრესი საზრუნავია. ისინი იცნობენ მთავრობის განცხადებებს დაფინანსებასთან წვდომის, საგადასახადო შეღავათების, ხელფასების გადახდაში დახმარების და ა.შ. შესახებ. აღნიშნული მისასალმებელია, იმის მიუხედავად, რომ ისინი ზოგჯერ შესაძლოა ძალიან მცირე ან დაგვიანებული იყოს ანდა ორივე! მცირე და საშუალო საწარმოები ცდილობენ აზრის გამოტანას ყოველივე აღნიშნულიდან და მაინც მათ სწრაფად და ჭკვიანურად უნდა იმოქმედონ. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები ასპარეზზე გამოდიან და კლიენტებს აწვდიან რჩევებს თუ როგორ ისარგებლონ მაქსიმალურად ასეთი შეთავაზებებით. ისინი ასევე ეხმარებიან კლიენტებს ფულადი სახსრების მართვაში, დაფინანსების ვარიანტების ანალიზში, ბიუჯეტის ხელახალ პროგნოზირებაში, დისტანციური საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ საკითხებში და სხვა ფორმებით.

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები მცირე და საშუალო საწარმოების სანდო ბიზნესკონსულტანტები არიან. ეს არასოდეს ყოფილა ისეთი ჭეშმარიტება როგორც ახლა. და როგორც კი ეს კრიზისი ჩაივლის, მრავალრიცხოვანი მცირე და საშუალო საწარმოსგან მიღებული ინფორმაციით აღჭურვილი მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები კარგ პოზიციაში იქნებიან კლიენტებისთვის რეკომენდაციების მისაწოდებლად, თუ როგორ მოხდეს მწვანე და ციფრული გადასვლა, რომელიც გათვალისწინებულია მწვანე და ციფრული ევროპისთვის ევროკავშირის ახალი სამრეწველო სტრატეგიით.

დისტანციური საქმიანობა

ამ კრიზისმა განაპირობა ის, რომ ბევრი ჩვენგანი, იმის მიუხედავად მოგვწონს ეს თუ არა, ხდება თვითნასწავლი, სრულყოფილზე დაბალი დონის დისტანციური თანამშრომელი. და ჩვენ ვუმკლავდებით სიტუაციას! სრულყოფილება ბოლოს და ბოლოს პროგრესის მტერია. ადამიანები პროდუქტიულები არიან, ისინი უწყვეტად ახორციელებენ კომუნიკაციას და ურთიერთობები კოლეგებთან და კლიენტებთან ღრმავდება. ეს ყველაფერი განსაზღვრულია როგორც ბიზნესის წარმოების ახალი გზა. კრიზისის შემდეგ პირისპირ კომუნიკაციაზე დაბრუნება მცირე სარგებლის მომტანი იქნება, თუ საერთოდ იქნება.

ციფრული ტრანსფორმაცია

დისტანციურმა საქმიანობამ ხაზი გაუსვა ტექნოლოგიის მნიშვნელობას და დააჩქარა ტექნოლოგიური გადაწყვეტების დანერგვა როგორც მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე აუდიტორული ფირმების, ისე მათი კლიენტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. ჩვენ სულ უფრო მეტად ვითვისებთ ტექნოლოგიებს, სრულყოფილად ვიყენებთ სხვადასხვა დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებს, სამუშაო პროცესს, ფაილების გაზიარებას და ვიდეო კონფერენციის შესაძლებლობებს. და როგორც ზევით აღინიშნა, მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმებს შეუძლიათ ინსტრუმენტული როლის შესრულება მცირე და საშუალო კლიენტების დახმარების თვალსაზრისით ახალ ციფრულ რეალობაზე გადასვლის პროცესში.

მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები და მცირე და საშუალო საწარმოები: ერთად უკეთესია

ამ კრიზისმა შეგვახსენა, თუ რამდენად ურთიერდამოკიდებულნი ვართ ჩვენ ყველანი - ადამიანები, ორგანიზაციები, საზოგადოება და ქვეყნები. ეს განსაკუთრებით ასეა მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების და მათი კლიენტების შემთხვევაში. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები დღეს თავიანთ კლიენტებს გადარჩენაში ეხმარებიან და ხელს უწყობენ, რომ მცირე და საშუალო საწარმოები გაცილებით ძლიერი, მდგრადი და განვითარებული გახდნენ. მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები დამოკიდებულნი არიან მცირე და საშუალო ბიზნესზე, როგორც შემოსავლის წყაროზე, და ასევე მათთან მუშაობიდან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რაც ეხმარებათ უფრო მეტად გაძლიერებაში, მდგრადობის ამაღლებასა და განვითარებაში. ჩვენ ამ პროცესში ყველანი ერთად ვართ. და ჩვენ ერთად უკეთესად ვუმკლავდებით სიტუაციას.

ინსტრუმენტები და რესურსები მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების დასახმარებლად ცვლილების განხორციელებაში

ამ ცვლილებების განსახორციელებლად ეწვიეთ EFAA რესურსების ცენტრს უფასო მითითებების და სხვა რესურსების სპეციალურად შექმნილი კრებულისთვის, რომელიც კრიზისის პროცესში მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმების დასახმარებლად შემუშავდა. ეს რესურსები რეგულარულია, დისტანციური და განახლებული. EFAA -ს ასევე აქვს ციფრული კომპეტენციის ინსტრუმენტი მცირე და საშუალო პრაქტიკის ფირმების ხელშესაწყობად საკუთარი ციფრული განვითარების დონის განსაზღვრასა და გაუმჯობესებაში.

დაბოლოს, კრიზისის პროცესში და მის შემდეგ აუცილებელია, რომ მცირე და საშუალო პრაქტიკის მქონე ფირმები მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნოლოგიურად გაცილებით ძლიერი, ადაპტირებული კომუნიკატორები, სანდო ბიზნესკონსულტანტები და პარტნიორები იყვნენ. და ეს ყველაფერი შეიძლება განხორციელდეს სამზარეულო მაგიდასთან ჯდომისას და საშინაო დავალების შესრულებაში ბავშვების დახმარებისას.